

შპს „რომპეტროლ საქართველოს“ ლოიალობის პროგრამაში მონაწილეობის პირობები და წესები

- მომხმარებელს შეუძლია მიიღოს რომპეტროლის ბარათი “Rompetrol Card” შპს „რომპეტროლ საქართველოს“ ნებისმიერ ავტოგასამართ სადგურზე საქართველოს მთელს ტერიტორიაზე (გარდა „რომპეტროლ პარტნიორისა“) 30.00 (ოცდაათი) ლარის ნებისმიერი ტიპის საწვავის შეძენისას;
- მომხმარებელს ლოიალობის ბარათი გადაეცემა ბარათის განაცხადის ფორმასთან ერთად;
- რომპეტროლის ლოიალობის ბარათი წარმოადგენს ფასდაკლების ბარათს;
- ლოიალობის პროგრამით გათვალისწინებული ნებისმიერი ტიპის ფასდაკლების სქემით სარგებლობისათვის აუცილებელია ბარათის მფლობელმა დაარეგისტრიროს/გაააქტიუროს ბარათი;
- ბარათის მფლობელს შეუძლია ბარათი გაააქტიუროს, შემდეგი გზით:
 1. თავად დაარეგისტრიროს მონაცემები ვებგვერდზე: card.rompetrol.ge
 2. ბარათის და განაცხადის ფორმის მიღებისთანავე შეავსოს განაცხადი და დატოვოს იგი ავტოგასამართ სადგურზე, სერვის ცენტრში ან სათაო ოფისში, მისამართზე: მერაბ ალექსიძის ქ. #12, თბილისი ან დატოვოს შევსებული ფორმა მითითებულ ადგილებზე მოგვიანებით, მისთვის ხელსაყრელ დროს. ამ შემთხვევაში, ბარათი გააქტიურდება 5-7 სამუშაო დღის განმავლობაში;
- ნებისმიერ ფიზიკურ პირს, რომელსაც შეუსრულდა 18 წელი, შეუძლია მიიღოს რომპეტროლის ბარათი;
- ნებისმიერმა პირმა, რომელიც დაინტერესებულია რომპეტროლის ლოიალობის ბარათის მიღებით, უნდა წარმოადგინოს მოქმედი პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;
- მომხმარებელი, რომელიც მიიღებს რომპეტროლის ბარათს, გაააქტიურებს და გაატარებს მას შპს „რომპეტროლ საქართველოს“ ავტოგასამართ სადგურებზე

- მიიღებს ფიქსირებულ **კლასიკურ** ფასდაკლებას **-8** თეთრის ოდენობით ყოველ შესყიდულ ერთ ლიტრ საწვავზე; თუ ბარათის მფლობელი ზედიზედ 3 თვის განმავლობაში (3 მოძრავი თვე) ჩაისხამს მინიმუმ 80 ლიტრ საწვავს თვეში, ბარათის ტიპი დაწინაურდება **პრემიუმ** დონეზე და იგი მიიღებს ფიქსირებულ ფასდაკლებას **-12** თეთრის ოდენობით ყოველ შესყიდულ ერთ ლიტრ საწვავზე; თუ ბარათის მფლობელი ზედიზედ 2 თვის განმავლობაში (2 მოძრავი თვე) ჩაისხამს 80 ლიტრზე ნაკლებ საწვავს თვეში, ბარათის ტიპი ჩამოქვეითდება კლასიკის დონეზე; თუ ბარათის მფლობელი ზედიზედ 3 თვის განმავლობაში (3 მოძრავი თვე) ჩაისხამს მინიმუმ 120 ლიტრ საწვავს თვეში, ბარათის ტიპი დაწინაურდება **გოლდ** დონეზე და იგი მიიღებს ფიქსირებულ ფასდაკლებას **-15** თეთრის ოდენობით ყოველ შესყიდულ ერთ ლიტრ საწვავზე; თუ ბარათის მფლობელი ზედიზედ 2 თვის მანძილზე (2 მოძრავი თვე) ჩაისხამს 120 ლიტრზე ნაკლებ საწვავს თვეში, ბარათის ტიპი ჩამოქვეითდება პრემიუმის დონეზე
- საანგარიშგებო თვის კალკულაცია დამოკიდებულია ლოიალობის ბარათის სისტემაში გააქტიურების თარიღზე და თვის ათვლა იწყება ბარათის გააქტიურების დღიდან და სრულდება ერთი თვის გასვლის შემდეგ. მაგალითად, თუ თქვენი ბარათი სისტემაში გააქტიურდა 25 აგვისტოს ანგარიშგების პირველი თვე დასრულდება 24 სექტემბერს, მეორე თვე დაიწყება 25 სექტემბერს და დასრულდება 24 ოქტომბერს, მესამე თვე დაიწყება 25 ოქტომბერს და დასრულდება 24 ნოემბერს და ა.შ. ბარათის სისტემაში აქტივაციის თარიღის ნახვა შესაძლებელია ვებგვერდზე card.rompetrol.ge მომხმარებლის პირადი ანგარიშის გვერდზე.
 - ბარათმა უნდა გაიაროს ფასდაკლების ყოველი ეტაპი თანმიმდევრობით (შეუძლებელია ბარათის ტიპი დაწინაურდეს კლასიკიდან გოლდის დონეზე, იგივე წესი ვრცელდება ბარათი ტიპის ჩამოქვეითებაზეც);
 - ბარათის მფლობელი სარგებლობს ფასდაკლებით ნებისმიერი საწვავის შეძენისას;
 - ლოიალობის ბარათის განაცხადის შევსებით/ხელმოწერით ან ვებ-გვერდზე (card.rompetrol.ge) მონაცემების რეგისტრაციით, მომხმარებელი ადასტურებს, რომ განცხადებაში მითითებული მისი პირადი მონაცემები სწორია, მან შპს

„რომპეტროლ საქართველოს“ უფლებამოსილი პირისგან მიიღო ლოიალობის ერთი ბარათი, თანახმაა შპს „რომპეტროლ საქართველომ“ წარმოდგენილი, ან/და საჯარო წყაროებიდან მოპოვებული პირდი ინფორმაცია, დაამუშაოს, შეინახოს და გამოიყენოს მაქსიმალურად კონფიდენციალურ და უსაფრთხო გარემოში, პერსონალური მონაცემების დამუშავების პრინციპების სრული პატივისცემით და სამართლებრივ დებულებებთან შესაბამისობაში, ინფორმირებულია და ეთანხმება შპს „რომპეტროლ საქართველოს“ ლოიალობის ბარათის მუშაობის მექანიკას, რომელიც ასევე გამოქვეყნებულია ვებ-გვერდზე: card.rompetrol.ge, თანახმაა შპს „რომპეტროლ საქართველომ“ ნებისმიერ დროს ცვლილება შეიტანოს ლოიალობის ბარათის მუშაობის მექანიკასა და წესებში, თანახმაა მიიღოს ნებისმიერი სახის საინფორმაციო/სარეკლამო სახის შეტყობინებები მის მიერ მითითებულ საკონტაქტო საშუალებით. პერსონალური მონაცემები გარკვეული ვადით იქნება შენახული და წაიშლება ამ ვადის დასრულების შემდეგ, იმ შემთხვევების გამოკლებით, რომლისთვისაც კანონმდებლობას შენახვის სპეციალური პერიოდი აქვს გამოყოფილი.

- ბარათის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში ინფორმაცია უნდა ეცნობოს სათაო ოფისს; ახალი ბარათის შეკვეთა შესაძლებელია სათაო ოფისში და იგი დამზადდება 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში სათაო ოფისში;
- ბარათის მფლობელი შეზღუდულია დღიური ტრანზაქციებისა და საწვავის რაოდენობის შესყიდვაში, მას შეუძლია განახორციელოს მაქსიმუმ 2 ტრანზაქცია დღეში და/ან შეიძინოს მაქსიმუმ 200 ლიტრი საწვავი დღეში;
- შპს „რომპეტროლ საქართველო“ იტოვებს უფლებას დაბლოკოს ლოიალობის ბარათი თაღლითობის ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში.

Terms and Conditions of Rompetrol Georgia Loyalty Program Membership

- Customer can receive a loyalty card “Romp petrol Card” on any gas station of “Romp petrol Georgia” throughout the whole territory of Georgia (except “Romp petrol Partner”) on 30 GEL transaction of purchasing any type of fuel;
- Customer receives loyalty card together with card application form;
- Rompetrol Loyalty Card is discount based only;
- Customer needs to activate the card in order to become eligible for any discount scheme of loyalty program;
- Card holder can activate loyalty card in the following ways:
 1. Customer can activate loyalty card himself/herself through the website: card.rompetrol.ge
 2. Fill out the application form of loyalty card and leave it on a gas station, service center or Head Office (Address: 12 Merab Aleksidze street, Tbilisi, Georgia) or hand over filled out application later at his/her convenience. In that case, card will be activated by “Romp petrol Georgia” during 5-7 working days;
- Any physical person reaching 18 years of age can receive the loyalty card;
- Any person who is interested in receiving the Rompetrol Loyalty Card should provide valid ID card;
- Customer who receives the Rompetrol Loyalty Card, activates it, and swipes it on “Romp petrol Georgia” gas stations will be eligible for fixed **-8 Tetri Classic** discount scheme; Card owner needs to consume at least 80 liters/month during the 3 rolling month to become eligible for card upgrade to the **Premium** discount level of **-12 Tetris**; If the customer will register 2 months in a row (2 rolling months) a monthly consumption less than 80 lt./month, than the card will be downgraded back to Classic level; Card owner needs to consume at least 120 liters/month during the 3 rolling month to become eligible for card upgrade to the **Gold** discount level of **-15 Tetris**; If the customer will register 2 months in a row (2 rolling months) a monthly consumption less than 120 lt./month, than the card will be downgraded back to Premium level;
- Calculation of the reporting month depends on the date when card is activated in the loyalty program. Counting of a reporting month starts on the day of card's activation and ends after passing one month. For example, if a card is activated

in the system on August 25, the first reporting month ends on September 24, the second reporting month starts on September 25 and ends on October 24, the third reporting month starts on October 25 and ends on November 24, and so on. Information on loyalty card activation date can be found on the website card.rompetrol.ge in the personal information tab.

- Loyalty card should pass each stage of the discount scheme in a sequence (it is impossible to upgrade card type from Classic to Gold level, the same applies to card downgrade rule);
- Card owner is eligible to use discount when purchasing any type of fuel;
- By filling/signing the loyalty card application or registering the data on the website (card.rompetrol.ge), the card owner confirms that his/her personal information indicated in the registration form is correct, he/she received one loyalty card from the authorized person of Rompetrol Georgia, admits that Rompetrol Georgia Ltd can process, store and use the provided personal information and/or personal information obtained from public sources, in the most confidential and secure environment, in full compliance with the principles of personal data processing and in accordance with legal provisions, is informed and agrees with loyalty card mechanics of Rompetrol Georgia Ltd published on the website: card.rompetrol.ge, agrees with modifications of the mechanics and rules of the loyalty card operations at any time performed by Rompetrol Georgia Ltd and approves to receive any kind of information/advertising message via provided contact information. Personal data will be stored for a certain period of time and will be deleted after the expiration of this period, except for those cases for which the legislation has a special storage period.
- If customer loses the card or card is damaged, new card shall be ordered in the Head Office; New card will be provided in 5 (five) working days period in the Head Office;
- Card owner is restricted in amount of daily transactions and fuel to purchase - maximum 2 transactions a day and/or maximum 200 lt./day;
- "Rompetrol Georgia" has the right to block the card in case of fraud.